ღვაწლი, პერსონალია

მერაბ მეგრელიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
merab.megrelishvili@bsu.edu.ge

„კაცად, მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე,
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო-აბა, დღეს მე ვის რა ვარგე ?“
ილია ჭავჭავაძე

ჩვენი საუკუნის ისტორიაში არიან ადამიანები, რომელთა მიერ განვლილი ცხოვრების გზა და ღვაწლი დასაფასებელია.

ადამიანი, რომ მიდის ამ ქვეყნიდან, მაშინ უფრო ნათლად ჩნდება მის მიერ გაკეთებული საქებ-სადიდებელი საქმე. პიროვნების ამქვეყნიური ცხოვრება მიღწეული შედეგებით განისაზღვრება. ამ მხრივ ბევრი საქებ-სადიდებელი სიტყვა გვაქვს სათქმელი აწ გარდაცვლილ უფროს მეგობარზე, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორზე, პროფესორსა და აკადემიკოსზე, ალბერტ დანიელის ძე შათაშვილზე. „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“! (შოთა). ამ რწმენით იცხოვრა და იშრომა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა და დატოვა დიდი ადამიანის სახელი.

ბატონ ალბერტს სამართლიანად შეეძლო ეთქვა: „ჩემი ცხოვრების წლები, ჩემი სიმდიდრეა“. შემოქმედებით ცხოვრებას ნაზიარებმა, ფუტკარივით იშრომა და ჯილდოდ მიიღო შემოქმედების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოსის სახელი. დიდი მეცნიერის მიერ განვლილი ცხოვრების გზაზე მიანიშნებს მისი რჩეული ბიოგრაფია. დაბადებულა 1935 წლის 3 ოქტომბერს, თბილისში. 1957 წელს ბატონი ალბერტი მათემატიკურ მეცნიერებას ეზიარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დაიწყო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში. შემდეგ უკრაინაში გააგრძელა სწავლა და კიევში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მეცნიერმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი უკრაინაში გაატარა. 1966 წლიდან სხვა გამოჩენილ მათემატიკოსებთან ერთად იგი სამუშაოდ მიწვეული იქნა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ დონეცკის სამეცნიერო ცენტრში. ბატონი ალბერტი წლების მანძილზე ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშობას ეწეოდა დონეცკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრის და ალბათობის თეორიის გამოთვლით ცენტრში. 1976 წლიდან ცნობილი მეცნიერი ხელმძღვანელობდა დონეცკის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრას. ღვაწლმოსილი არის 180-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და მრავალი საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი. სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობასთან ერთად იგი ხელმძღვანელობდა არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალს.

ბატონი ალბერტი იყო მრავალი რესპუბლიკური, საკავშირო, საერთაშორისო სიმპოზიუმის და კონგრესის მონაწილე. 2005 წელს ღვაწლმოსილი მეცნიერი აირჩიეს შემოქმედთა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოსის თანამდებობაზე. ცნობილი მეცნიერი მათემატიკის, ალგებრის და ალბათობის თეორიის დარგში მიღწეული წარმატებების საფუძველზე შეყვანილი იქნა სრულიად უკრაინის 500 გამოჩენილი ადამიანის სიაში. ასევე იგი გახლდათ სრულიად უკრაინის მწარმოებელთა ასოციაციის ნამდვილი წევრი. ალბერტ

შათაშვილი იყო აკადემიკოსების, ა. ვ, სკოროხოდის და ი.ი გიხმანის, მსოფლიოში ცნობილი მათემატიკური სკოლის წარმომადგენელი. მათი ერთობლივი შრომების საფუძველზე დონეცკის მათემატიკის და მექანიკის სამეცნიერო ცენტრში შეიქმნა მათემატიკური სტატისტი-კისა და ალბათობის თეორიის განყოფილება. საქართველოზე უზომოდ შეყვარებული მამულიშვილი უკრაინელებს აცნობდა საქართველოს ისტორიას და ლიტერატურას. მას დიდი წვლილი მიუძღვის დონეცკის ქართული სათვისტომოს შექმნაში.

ბატონი ალბერტი გახლდათ დიდი მეცნიერი და ძვირფასი ადამიანი. ყოველდღიურ ცხოვრებაში მას ვერასდროს ნახავდით დაღვრემილს, დარდიანს, მოწყენილს. თუმცა სადარდებელი ბევრი ჰქონდა. სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი დრომ ვერ გატეხა და ვერ შეცვალა და სიცოცხლის ბოლო წუთებამდე დარჩა თავისი საქმის ერთგული. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი მოღვაწეობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2012 წელს, 77 წლის ასაკში ცნობილმა მეცნიერმა გაიმარჯვა კონკურსში და არჩეული იქნა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სრული პროფესორის თანამდებობაზე. ბატონ ალბერტ შათაშვილს დიდი ხნის განმავლობაში მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა აკადემიკოს დურსუნ ბალაძესთან, პროფესორებთან იაშა დიასამიძესა და იბრაიმ დიდმანიძესთან. ღვაწლმოსილმა მეცნიერმა არაერთი ახალგაზრდა აზიარა მათემატიკას და გაუკვალა გზა მეცნიერებაში.

ალბერტ შათაშვილმა ქართულ ტრადიციებზე დამკვიდრებული ოჯახი შექმნა. მისი მეუღლე ქალბატონი თამარ ფომინა-შათაშვილი არის მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი. მისი უფროსი ქალიშვილი, ქალბატონი ლალი მამის პროფესიას ეზიარა და დღეს ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ვაჟი ანდრია ბათუმში განაგრძობს ცხოვრებას. ბატონი ალბერტის შთამომავლები აგრძელებენ მამისა და ბაბუას ტრადიციებს. ქება და დიდება ალბერტ დანიელის ძე შათაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობას.

მარადიდის სკოლა 140 წლისაა

1886 წელს სოფელ მარადიდში იხსნება პირველი დაწყებითი სკოლა. გონიოს უბნის უფროსმა გუბერნატორს გადასცა ხალხის სურვილი სკოლის დაარსების შესახებ. მარადიდის მცხოვრებნი მოითხოვდნენ საღვთო სჯულის, ქართული და რუსული ენების მცოდნე მასწავლებლებს. ამავე პერიოდში საფუძველი ეყრება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-დებას. საღვთო სჯულის მასწავლებელს უხდიდნენ 150 მანეთს, ხოლო ქართულის და რუსულის ენის მასწავლებელს 300 მანეთს. მათ უფასოდ ეძლეოდათ სახლი, შეშა და სანთელი.

სოფელ მარადიდში პირველი დაწყებითი სკოლის დაარსებიდან 140 წელი გავიდა. აჭარაში პირველ ქართულ სკოლას მდიდარი სასწავლო-საგანმანათლებლო ტრადიციები გააჩნია, რომლის სათავეებთან ღვაწლმოსილი პედაგოგი იდგნენ.

სკოლა თანდათან ფართოვდებოდა. საჭირო გახდა სკოლის ფართის დამატება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის იმდროინდელ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შოთა ისაყის ძე დიდმანიძეს.

მოძღვარი

ადამიანს დაბადებიდან თან დაჰყვება ძვირფასი თვისებები, რომლებიც გამოარჩევს მას და რჩეულთა შორის მიუჩენს ადგილს.

სწორედ ასეთი, რჩეულთა შორის რჩეული, სულით ძლიერი, მაღალადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნება გახლდათ მარადიდის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი

პედაგოგი და სოფლის თავკაცი ბატონი შოთა ისაყის ძე დიდმანიძე. მარტო ხუროთმოძღვარზე როდი ბრძანებდა დიდი კონსტანტინე, როდესაც წერდა: გულს უდიდესი სიამაყე შეუდგება ხოლმე, როდესაც შემოქმედის შენის ნაყოფი მიწას და ქვეყანას სამკაულად გამოადგება. მართლაც რომ სიამაყის გრძნობით ივსები, როდესაც ასობით შენი აღზრდილისაგან გესმის საყვარელი აღმზრდელის, მოძღვარის მისამართით ნათქვამი გულთბილი სამადლობელო სიტყვები: პატივცემულო შოთა მასწავლებელო, გვეამაყება, რომ ჩვენი აღმზრდელი და დამკვალიანებელი, ჩვენს სულში სიკეთის მთესველი, ჩვენი კერპი და იდეალი თქვენ იყავით. თქვენ მარტო წერა-კითხვას კი არ გვასწავლიდით, არამედ შეგყავდით დედაენის საგანძურში.

მარადიდში, ამ ისტორიულ, ბუნების თვალწარმტაც სავანეში დაირწა მისი აკვანი. აქედან დაიწყო მამისეული სახლის, მამულის, ქვეყნის, ადამიანების სიყვარულის, ძიების, წვისა და დაგვის გზა-სავალი.

პედაგოგიური პროფესიის ხიბლს ხულოს რაიონის სოფელ სკვანის დაწყებით სკოლაში ეზიარა. ახალგაზდა, მოაზროვნე, ენთუზიასტი პედაგოგი გამგე-მასწავლებლად დაინიშნა.

1956-1972 წლებში შოთა დიდმანიძე თავკაცობდა მარადიდის კოლმეურნეობას. ამ თანამდებობაზე კიდევ უფრო გამოიკვეთა ბატონ შოთას პიროვნება, წარმოჩნდა იგი როგორც საქმიანი, წინდახედული, პერსპექტივის ხედვის ნიჭით, ორგანიზატორული უნარითა და ნოვატორობით გამორჩეული ხელმძღვანელი. მან თვალსაჩინო ამაგი დასდო მშობლიურ სოფელს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოფლის ეკონომიკის განვითარებაში, ინფრასტ-რუქტურის სრულქმნასა და მისი კულტურის დაწინაურებაში.

1994 წლიდან ღვაწლმოსილი პედაგოგი მშობლიურ სკოლას უბრუნდება. მისი ხანგრძ-ლივი ნაყოფიერი, შემოქმედებით მუშაობა სათანადოდ არის დაფასებული. სტუმარ-მასპინძ-ლობის ქართული წესით გამოირჩევა შოთა დიდმანიძის ოჯახი. მისი მეუღლე ქალბატონი ნაილე სიკეთით, სათნოებით, დიდბუნებოვნებითა და სხვა ადამიანური თვისებებით შემკული ადამიანი იყო. დღეს მათი შთამომავლობა ღირსეულად აგრძელებს დიდმანიძეების ოჯახურ ტრადიციებს.

პერსონალია

68 წელი ადამიანის ცხოვრებაში არც ისე ბევრია და არც ისე მცირე. პიროვნების მიერ განვლილი ცხოვრების წლების სიმდიდრე მიღწეული შედეგებით განისაზღვრება. დღეს იბრაიმ დიდმანიძეს შეუძლია თქვას, რომ ჩემი წლები, ჩემი სიმდიდრეა. 68 წლის მანძილზე მას ბევრი რამ გაუკეთებია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი, ახლად არჩეულს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში.

დაბადების ადგილი - მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე მდებარე თვალწარმტაცი, მდიდარი წარსულის მქონე სოფელი მარადიდი.

გვარი დიდმანიძე ერთერთი წარმოჩენილი გვარია აჭარაში, თავისი წარსულით, ღირსე-ული ადამიანებით და გაკეთებული საქმეებით.

იბრაიმ დიდმანიძემ ზოგადი განათლება მიიღო მარადიდის 8 წლიან, აჭარისწყლისა და კირნათის საშუალო სკოლებში. 1979 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთა-ველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და მიენიჭა საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლის წოდება. 1979-1980 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტთან არსებულ ბათუმის ლაბორატორიაში. 1980-1982 წლებში იგი იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში. სამხედრო წრთობამ და

გამოცდილებამ დიდი გავლენა მოახდინა მის შემდგომ დაწინაურებაზე საქართველოს კაზაკთა კავშირის ატამანის მრჩევლად და მას მიენიჭა საქართველოს კაზაკთა კავშირის გენერალ ლეიტენანტის წოდება.

1982-1984 წლებში იგი მუშაობდა ორგანიზაციისა და მართვის პრობლემების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის განყოფილებაში, ჯერ ინჟინრად, შემდეგ კი მეცნიერ-თანამშრომლად.

1984-1988 წლებში იბრაიმ დიდმანიძე სწავლობდა კიევის, ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ იგი სამუშაოდ დატოვეს ამავე უნივერსიტეტთან არსებულ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში მეცნიერ-თანამშრომლად.

1988 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ლოკალური ალგორითმები და მათი პარალელური რეალიზაცია“.

1988 წლის სექტემბრიდან მან მუშაობა დაიწყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, მასწავლებლის თანამდებობაზე საათობრივი ანაზღაურების წესით.

1989 წლიდან იგი ასევე მუშაობდა ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჯერ მასწავ-ლებლად, შემდეგ უფროს მასწავლებლად და დოცენტად, ზოგადტექნიკურ დისციპლინათა კათედრაზე.

1996-2004 წლებში ახალგაზრდა მეცნიერი დააწინაურეს ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ცენტრის უფროსის თანამდებობაზე.

2003 წელს იგი არჩეული იქნა ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის თანამ-დებობაზე.

2006-2013 წლებში იბრაიმ დიდმანიძე მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და სრული პროფესორის თანამდებობაზე. დღეს იგი აგრძელებს მუშაობას უნივერსიტეტში, ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში.

2005 წელს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ იბრაიმ დიდმანიძე აირჩია აკადემიის ნამდვილ წევრად.

2006 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და 2006 წლის 24 მარტს უმაღლესმა საერთაშორისო აკადემიათშორისმა საატესტაციო კომისიამ იბრაიმ დიდმანიძეს მიანიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი სპეციალობით 01.01.09. მათემატიკური კიბერნეტიკა.

2011 წლიდან იბრაიმ დიდმანიძე არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ხოლო 2016 წლიდან არჩეულია ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ასევე 2016 წლიდან არის განათლების ინფორმა-ტიზაციის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი.

მას გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ხუთი მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო. ბატონ იბრაიმს, სადაც კი უმოღვაწია, ყველგან სიკეთე, სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია. მას დიდი სამეგობრო ჰყავს მოსკოვში, კიევში, თბილისსა თუ ბათუმში. იბრაიმ დიდმანიძეს ერთი დღეც არ უცხოვრია მეგობრების გარეშე. იბრაიმს მეგობრებისგან მინიჭებული აქვს ევლია კაცის სახელი, რომელსაც იგი ერთი წუთითაც არ ღალატობს.

იბრაიმ დიდმანიძე ჩვენი კუთხის დესპანის როლს ასრულებს კიევში, მოსკოვსა თუ თბილისში. არის მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო

კომიტეტის წევრი. მრავალი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე და საერთაშორისო პროგრამული კომიტეტის წევრი. მისი უშუალო ინიციატივით და ხელმძღვანელობით ტრადიციული ურთიერთობები დამყარდა ბათუმის უნივერსიტეტსა და უკრაინის, მოლდავეთის, ბელორუსიის, ნორვეგიის, ლიტვის და სხვა ქვეყნების მრავალ უნივერსიტეტს შორის. იბრაიმ დიდმანიძის უშუალო ინიციატივითა და ხელშეწყობით ბათუმის უნივერსიტეტში არაერთი კონფერენცია თუ საქველმოქმედო ღონისძიება მოეწყო. მან არაერთ ახალგაზრდას გაუკვალა გზა მეცნიერებაში. მისი ხელმძღვანელობით 16-მა ახალგაზრდამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ბატონი იბრაიმის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მის მეუღლეს, ქალბატონ დიდარს. 4 შვილის აღმზრდელი დედა, კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორი, მოღვაწეობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ახალსოფლის საჯარო სკოლაში წამყვან მასწავლებლად.

დასკვნა, სტატიაში წარმოდგენილი ღვაწლმოსილი ადამიანების ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, როგორც ილია ბრძანებდა, შვილმა უნდა იცოდეს თუ სად გაჩერდა მამა, რომ იქიდან გააგრძელოს ცხოვრების გზა.

მარადიდი. 2009 წლის 17 ივნისი, შოთა დიდმანიძის 80 წლის იუბილე.

დამოწმებული ლიტერატურა

- აკადემიკოსი ალბერტ შათაშვილი, ბიოგრაფიული ლექსიკონი, გაზეთი „ივერია“, 1886 წლის 8 მარტი.